

ადამიანის სახელების სოციალურ-
კულტურული ტენდენციების სასახვა ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში

მაია ნადარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჟვანია, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო

წესების შესაბამისად.

მაია ნადარეიშვილი

20.06.2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს, ადამიანის საკუთარსახელების, სოციალურ-კულტურული ტენდეციების ასახვა.

მასში მოისაზრება, 1970 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, საქართველოში დარეგისტრირებული სახელების დამუშავება და ანალიზი.

დამუშავება მიმდინარეობდა რამდენიმე კუთხით, კერძოდ:

- რა სახელები იყო პოპულარული საქართველოს რაიონებში, 1970 წლიდან 2014 წლამდე.
- რა სახის უცნაურ სახელებს ვაწყდებით და რა ასოციაციას იწვევს თითოეული მათგანი.
- კომუნისტურ პერიოდში გავრცელებულ სახელები
- XXI საუკუნის რელიგიური სახელების ბუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში არ მოიპოვება და ეს ორმაგ ინტერესს იწვევს ამ თემისადმი.

კვლევას წინ უძღოდა ჰიპოთეზა და მოლოდინი, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელები წლების განმავლობაშიც ინარჩუნებდნენ პოპულარობას, რაც შედეგებში გამართლდა.

კვლევა ჩატარდა სამაგიდო კვლევის ფარგლებში, სადაც მეორადი მონაცემების გადამუშავება მოხდა.

კვლევის მთავარ წყაროს წარმოადგენს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მონაცემები.

როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა, საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ქალის სახელებში ლიდერობს, სახელი ნინო, რომელიც ყოველთვის პოპულარულია,

ასევე სახელი მარიამი რომელსაც თამარი მოსდევს და 2000 წლიდან უკვე ანა, ბარბარე და ანასტასია.

მამაკაცის სახელებში, კი უპირობო ლიდერია,სახელი გიორგი,რომელსაც 1970 წლიდან 2014-მდე არ დაუკარგავს პოპულარობა და ბევრად უფრო მაღალია მისი მაჩვენებელი ციფრებში, ვიდრე სხვა დანარჩენი პოპულარული სახელების. მეორე ადგილზეა სახელი დავითი,შემდეგ კი დროის სხვა და სხვა მონაკვეთში პოპულარობას იძენს სახელები:მამუკა,ირაკლი,ლუკა,ნიკა,ნიკოლოზი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია,ქვეყანაში არსებულ უცნაურ და სიმბოლური დატვირთვის მქონე სახელებზე. ეს ის სახელებია,რომლებიც ხშირად შეუქმნიან უხერხულ სიტუაციას სახელის პატრონს. მაგალითად: ჯუნგლი, ნაყიდა, ლოთი, გიგანტი, პეპელა, არველოდი, მაუგლი, კეკლუცი, ორდენი, დევი და სხვა.

უცნაური სახელების გარდა, არსებობდა პოლიტიკური გავლენის მქონე სახელები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. ამ პერიოდში არსებობდა ერთგვარი „კომუნისტური ნათლობა“,სადაც ბავშვს დაბადების სახელს უცვლიდნენ და არქმევდნენ კომუნისტური იდეოლოგიით აღსავსე სახელს.ასეთები იყო: ოქტიაბრინა, მარლენი, მაისა, ვილენი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევითი საკითხი არ არის ბოლომდე ამოწურული და შემდგომშიც შეიძლება დაუბრუნდეს ამ თემას დაინტერესებული პირი.

საძიებო სიტყვები: გავრცელებული სახელები; 1970-2014 წლები;

Abstract

The Master's thesis topic is a reflection of social - cultural trends on people's names. Below is given processing and analysis of the names registered in Georgia from 1970 till 2013.

Processing was carried out in several directions, namely:

- What names were popular in regions of Georgia from 1970 till 2014;
- What kind of unusual names we encounter and what associations cause each of them;
- Names spread in communist period;
- Boom of religious names in XXI century.

It should be noted that there hadn't been done any similar researches in Georgia which arouses dual interest to this subject.

The research was guided by the hypotheses and expectations that the most popular names in Georgia maintain their popularity for many years, which has been proved.

The study was conducted within the research desk where the secondary data was processing. The main source of data had been issued by the SSDA.

The survey results showed that in Georgia the leader among women's names is Nino, which has always been popular. In second place is Mariam which is followed by Tamar and, since 2000, names Anna, Barbara and Anastasia joined this list.

The undisputed leader among men's names is George, which has not lost its popularity since 1970 up to 2014 and has much higher rate in numbers than other popular names. It is followed by the name David. Occasionally names Mamuka, Luka, Nikoloz, Irakli and Nika gain popularity.

The thesis also focuses on the strange names with symbolic meaning. These names such as "Jungli"(jungles), "nakida"(bought), "Loti"(drunk), "Giganti "(giant), "Pepela"(butterfly), "Arvelodi"(didn't expect), "Maugli", "Kekluci"(coquette), "Ordni"(order), Devi (giant) and others often create awkward situations for their owners.

Besides strange names there were names influenced by the politics which were especially acute in the Soviet Union. During this period there existed a kind of "communist baptism" when the first name of a child was changed into names which carried communist ideology.

For example: Oktiabrina, Marleni, May, Willen, etc.

It should be noted that this topic is not fully exhausted and a person interested in this question can do further researches.

Key words: Widespread names; The Years 1970-2014

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში,წარმოიქმნა გარკვეული სირთულეები და შეზღუდვები.

რომ არა იმ ადამიანების დახმარება,რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში,ძალიან გამიჭირდებოდა ნაშრომის დროულად დასრულება.

პირველ რიგში,მადლობა მინდა გადავუხადო,ჩემს ხელმძღვანელს,ანა ჟვანიას,რომელიც დამეხმარა საკვლევი თემის შერჩევაში და მომცა გარკვეული მიმართულება,კვლევის სწორად წარსამართად.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მის ხელმძღვანელს,ქალბატონ ნინო დანელიას,რომელმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა.

იგი ყოველთვის გულდასმით პასუხობდა, ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებს,რომლებიც,ეტაპობრივად მიჩნდებოდა,მის მიერ გაცემულ მონაცემთა ბაზის შესწავლის პროცესში.

უღრმესი მადლობა ბატონ ლევან თარხნიშვილს,რომელმაც უდიდესი თანადგომა გამიწია,სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ყველაზე რთულ ეტაპზე.

კვლევის პროცესში ჩნდებოდა კითხვები და პრობლემები,ვადებთან თუ სხვა გარე ფაქტორებთან დაკავშირებით,რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდა ჩემს სამაგისტრო ნაშრომზე.

ამ კუთხით კი,უდიდესი მადლობა ლალი გიორგიძეს,რომელიც მუდამ მზად იყო კითხვებზე პასუხისა და დახმარებისათვის.